გორის მუნიციპალიტეტის მერია

ადრესატი: შპს „მნ გრუპი“
მისამართი: lbirchadze98@gmail.com

წერილის ნომერი: **20-2022339147**
თარიღი: **05/12/2022**

თქვენი წერილის პასუხად , რომელიც ეხება სოფ. უფლისციხის ტერიტორიაზე სილიკონმანგანუმის ნარჩენების მოსაპოვებლად ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობის საკითხს, გაცნობებთ:
ვინაიდან გორის მუნიციპალიტეტის მერიას ამჟამად დამტკიცებული გენერალური გეგმა არ გააჩნია, აღნიშნულ ტერიტორიაზე ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობის ადგილმდებარეობის ფუნქციურ ზონასთან თავსებადობის შესახებ ინფორმაციის მოწოდება შეუძლებელია.

პატივისცემით,

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

გორის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

KA020146340311522

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ: 0 32 2 95 00 30

ლიცენზია - ბრძანება № 79

07 / ოქტომბერი / 2022 წ.

შპს "ჭიათურმანგანუმ ჯორჯია"-ზე (ს/ნ 215147874) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №1003191 ლიცენზიის ნაწილის შპს "მნ გრუპი-2021"-ზე (ს/ნ 405473839) საკუთრებაში გადაცემის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ” დებულების მე-7^3 მუხლის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 4 იანვრის №1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის, ”სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ნაწილის საკუთრებაში გადაცემის შესახებ” შპს "ჭიათურმანგანუმ ჯორჯია"-სა და შპს "მნ გრუპი-2021"-ს შორის გაფორმებული 16.09.2022წ. ხელშეკრულების (დამოწმების თარიღი: 16.09.2022წ.), შპს "ჭიათურმანგანუმ ჯორჯია"-სა და შპს "მნ გრუპი-2021"-ის განცხადებების (№9323; №9324 16.09.2022წ.) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ შპს "ჭიათურმანგანუმ ჯორჯია"-ზე (ს/ნ 215147874) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების № 1003191 ლიცენზიის ნაწილი (მიწისა და სამთო მინაკუთვნი, ფართობით 0,95 ჰა. განსაზღვრულია X და Y კოორდინატების ფარგლებში ამ ლიცენზია-ბრძანების დანართის შესაბამისად), გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. უფლისციხის ტერიტორიაზე, 23 579 ტონა სილიკომანგანუმის (წიდა) ტექნოგენური ნარჩენების ჯამური მოპოვება გადაეცა საკუთრებაში შპს "მნ გრუპი-2021"-ს (ს/ნ 405473839) 2028 წლის 16 ივლისამდე მოპოვების უფლებით.

2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 16 ივლისის № 1-1/1458 და სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2011 წლის 15 დეკემბრის №13/619 ბრძანებებით განსაზღვრული პირობები;

3. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზია-ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემ ორგანოში დასამტკიცებლად წარადგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

4. ლიცენზია-ბრძანება გასაცნობად გადაეცეს შპს "მნ გრუპი-2021"-ს (ს/ნ 405473839).

5. ლიცენზია-ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2).

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

ანდრო ასლანიშვილი